26/04/2020

# მეუფე გერასიმე – გავუფრთხილდეთ ჩვენს ქვეყანას, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს

კვირაცხოვლობის ლიტურგია ზუგდიდის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის მშენებარე საკათედრო ტაძარში ზუგდიდ-ცაიშისა და ავსტრია-გერმანიის მიტროპოლიტმა გერასიმე შარაშენიძემ აღავლინა.

მიტროპოლიტმა კვირაცხოვლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ზიარების წესში ცვლილებების შეტანა არ იგეგმება.

„გავუფრთხილდეთ ჩვენს ქვეყანას, ღვთისმშობლის წილხვედრს ქვეყანას, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. ძალიან ცოტანი ვართ და გამეტებით ვწირავთ ერთმანეთს, გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, ვითარცა თავი ჩვენი“, – ამის მიტროპოლიტმა ლიტურგიის დასრულების შემდეგ ქადაგებისას. მან მრევლს პასკები და სააღდგომო კვერცხები დაურიგა.

ამასთან, მიტროპოლიტმა იმ ადამიანებს, ვინც ეკლესიას ვარდები შესწირა და დახმარება გაუწია, მადლობა გადაუხადა.

საქართველოს პირველი არხის ჟურნალისტის ინფორმაციით, ტაძარში დაცული იყო სოციალური დისტანცია.

— 1tv.ge